

სტეფანწმინდა - სამების ეკლესიასთან მისასვლელი გზის მშენებლობა დასრულდა (ვიდეო)



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სტეფანწმინდა - სამების ეკლესიასთან მისასვლელი 5.6 კმ - იანი გზის მშენებლობა დასრულდა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, მოენყო ცემენტ-ბეტონის საფარიანი ახალი გზა, წყარგამტარი მიწები, გზის საყრდენი კედლები, ავტომობილების გასაჩერებელი მოედნები და განხორციელდა გზის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ასევე, ახალ გზაზე დამონტაჟდა საგზაო ნიშნები და ჩატარდა გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოებიც. ტურისტებს, ადგილობრივ მოსახლეობას და მომლოცველებს გერგეტის სამებამდე მისვლა უკვე განახლებული, კომფორტული და უსაფრთხო გზით შეუძლიათ.

„გერგეტის ყოვლადწმინდა სამების ტაძარი XIV საუკუნის ძეგლია და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტების მხრიდან. ახალი გზა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ყაზბეგის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 7 793 854 ლარი შეადგინა. გზის სამშენებლო სამუშაოები შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ განახორციელა“, – აღნიშნეს საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

https://www.youtube.com/watch?time_continue=4&v=YV8sE2NGxGQ